პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 187 (10581) | კვირა, 12 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

დავაჩქაროთ სიმინდის თესვა ნაწვერალზე (1-ლი გვერდი).

გამოვასწოროთ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში (1-ლი გვერდი).

ახალ მიღწევებს მოელის თქვენგან სამშობლო, ამხანაგო მშენებლებო! — ნ. გიორგაძე. — რუსთავში — რესპუბლიკის ინდუსტრიულ ქალაქში. **ა. გოგაძე.** — პირველად თბილისში. **კ. მორეტი.** — ქუთაისელ მშენებელთა ახალი ამოცანები. საკუთარი ხელით ნაგებ სახლში. ლაპარაკობენ მშენებლები (მე-2 გვერდი).

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს. — **ს. ცაციაშვილი.** — ჰექტარზე 700 ცენტნერი ვაშლისათვის (მე-3 გვერდი).

გ. ძნელაძე. — სახელოვანი თეატრალური კოლექტივი (მე-3 გვერდი).

ნ. კოლი. — თავისი საუკუნის შვილი (მე-3 და მე-4 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის [illegible] (მე-4 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე [illegible] (მე-4 გვერდი).

ვ. გაბელია. — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა (მე-4 გვერდი).

მშენებლების დღესასწაული

დღეს დიადი საბჭოთა ქვეყნის სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები, მთელი ჩვენი ხალხი საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ მშენებლის დღეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ მშენებლებისადმი. მშენებლის შრომა დიდად არის დაფასებული ჩვენს ქვეყანაში, იგი დიდების შარავანდედითაა მოსილი.

პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. პარტიის XX ყრილობის დირექტივების განსახორციელებლად სახელოვანი საბჭოთა მშენებლების მრავალმილიონიანი არმია ახლა მუშაობს 3.500-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმოს ასაგებად. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებათა მოცულობამ შეადგინა 68 მილიარდი მანეთი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის კაპიტალდაბანდებათა თანხას 10 პროცენტით აღემატება.

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს საქართველოს მშენებლებიც. გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის და ბეჟუეჭესის ამუშავებით, რუსთავის ცემენტისა და აზოტოვანი სასუქების ქარხნების, აგრეთვე ფურცელსაგლინავი დგანის ამოქმედებით, მთელ რიგ სხვა სიმძლავრეთა ამუშავებით საქართველოს მშენებლებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ როგორც ეს საბჭოთა ადამიანებს სჩვევიათ, საქართველოს მშენებლები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, ისინი კვლავაც თავდადებით იბრძვიან დაწესებული ვადებისათვის ახალი სიმძლავრეების ასამუშავებლად, იმ მთავარი ამოცანის შესასრულებლად, რომ უზრუნველყონ მეექვსე ხუთწლედის, პირველ რიგში კი 1956 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამების გადაჭარბებით შესრულება.

წარმატებით იბრძვიან წლიურ საწარმოო დავალებათა განაღდებისათვის საქართველოს ენერგეტიკოსი მშენებლები. ტყიბულჰესელები უკვე შეუდგნენ ამ მძლავრი სადგურის სარეგულირებელი დიდი წყალსაცავის ავსებას და წარმატებით მუშაობენ იმისათვის, რათა ტყიბულჰესის აგრეგატებმა დენი მოგვცენ მთავრობის მიერ დაწესებული ვადისათვის. ენთუზიაზმით იბრძვიან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცემული პროგრამების შესასრულებლად მეორე ხრამჰესის, ლაჯანურჰესის, რუსთავის მშენებლები, შორაპან-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი რკინიგზისა და თბილისის ახალი წყალსადენის გამყვანები.

მაგრამ ამასთან საერთო აღმავლობის ფონზე მკაფიოდ იგრძნობა ჩვენი რესპუბლიკის ბინათმშენებელთა ჩამორჩენა. ბინათმშენებლობაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ექცევა სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას, მშენებლობაში ახალი ტექნიკისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვას. ბინათმშენებლობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს საპროექტო ორგანიზაციების ნელი მუშაობა, საშენი მასალების მომარაგების შეფერხება, სამშენებლო ინდუსტრიის ჩამორჩენილობა. ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები ვერ ახერხებენ პროდუქციის ისეთი რაოდენობით გამოშვებას, რომ უზრუნველყონ მშენებლობის ტემპების დაჩქარება.

ბინათმშენებლობის შეფერხებას იწვევს აგრეთვე თანხებისა და საშენი მასალების დაქსაქსვა, სამშენებლო ობიექტის სიმრავლის გამოდევნება და სამშენებლო სამუშაოთა რიტმულობის ჩაშლა.

ჩვენი რესპუბლიკის მშენებლების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის ზრუნვა. მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა მოწინავე ადამიანების ამასწინანდელ რესპუბლიკურ შეკრებაზე აღინიშნა, რომ ამ საქმეში მთელ რიგ სამშენებლო ობიექტებზე შეუწყარებელ გულგრილობას იჩენენ როგორც მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელები, ისე ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს საბინაო მშენებლობაში ტიპური პროექტების გამოყენების მხრივ. მაგალითად, გასულ წელს საბინაო მშენებლობაში სამუშაოთა მთელი მოცულობიდან ტიპური პროექტებით შესრულდა მხოლოდ 34,5 პროცენტი. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ტიპური პროექტების გამოყენებაში არც წელს იგრძნობა. გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ ტიპური პროექტებით საბინაო მშენებლობის მასობრივად გაშლა საშუალებას გვაძლევს საგრძნობლად შევამჭიდროოთ მშენებლობის ვადები, მივაღწიოთ სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირებას.

მშენებლებმა, არქიტექტორებმა, დამპროექტებლებმა, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ყოველ სიახლეს, ყოველ ახალ წამოწყებას. ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, მიაღწიონ მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას, ხარისხის ამაღლებას და სახარჯთაღრიცხვო თვითღირებულების შემცირებას, ააშენონ სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად, ვადამდე და საუკეთესო მაჩვენებლებით შეასრულონ პარტიის XX ყრილობის მიერ კაპიტალური მშენებლობის დარგში დასახული ამოცანები.

ეს იქნება ჩვენი მშენებლების პასუხი იმ დიდ დახმარებასა და მზრუნველობაზე, რომელსაც მათდამი იჩენენ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი ხალხი.

ბროშურად გამოიცა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოსკოვის მშენებელთა დღესასწაულზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის 1956 წლის 31 ივლისის სიტყვა მოსკოვის მშენებელთა დღესასწაულზე, რომელიც მიეძღვნა მშენებლის დღესა და ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის გახსნას.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

(საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): რუსთავის მშენებლები — მეარმატურე ვ. გვოზდიკოვი, კალატოზი ა. წიკლაური, ექსკავატორის მემანქანე ზ. რუსიშვილი, თბილისელი მშენებლები — მებათქაში ს. გლუხოვი, სამუშაოთა მწარმოებელი თინათინ წიწილაშვილი, გვირაბმშენებლები ვ. კოვალი, გ. ობოლაძე, კერამიკული კომბინატის მწნეხავი ქსენია გაფრინდაშვილი და დურგალი ვ. აბულაძე.

სიმღერა კომუნიზმის მშენებლებისა

— რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია,
მშვიდობის ნათელ დროშებით
სამშობლო უმშვენებია! —

ძველად ამგვარი სიმღერის
თუ ვინმეს ჰქონდა უფლება,
ძმებო, სიმღერა სიყვარულს
დღეს უფრო არ მოუხდება?!.

ვინ დაადუმა გრიგალი,
ვინ დაამკვიდრა მშვენება,
ვინ შეაჩერა გმირულად
ნგრევა და გადაშენება.

ვინ აღადგინა ფერფლიდან
უზარმაზარი ქარხნები,
ვინ მოაშუშა, დააცხრო
ნატყვიარი და ნახმლევი.

ვინ ააყვავა მინდვრები
დამწვარი, ნაპარტახალი,
ვინ ააჩქეფა არხები,
არხები ახალთ-ახალი.

ვინ დასძრა ციხკენ ხმაურით
ხარაჩოები ვეება,
ვინ ააღლვა უდაბნო
რტოებდაგრაგნილ ტყეებად?!

ეს ჩვენ ვართ, ვისი სიცოცხლეც
პარტიის მზის ქვეშ გიზგიზებს,
ვინც ძმურად ვშრომობთ, ვაშენებთ,
მივილტვით კომუნიზმისკენ.

ეს ჩვენ ვართ, ვისი სიმღერაც
კიდით კიდემდის გადადის;
გვალაღებს დიდი სამშობლო —
მშვიდობის ფარ-მუზარადი!..

შალვა ამისულაშვილი.

მშენებლის დღისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო კრება თბილისში

11 აგვისტოს თბილისში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა მშენებლობათა, საპროექტო ორგანიზაციათა და საშენი დეტალებისა და მასალების საწარმოთა მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საერთო საქალაქო კრება, მიძღვნილი მშენებლის დღისადმი.

თეატრში შეიკრიბნენ მშენებელი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, არქიტექტორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მეკანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ზ. ი. კვაჭაძე, მ. პ. გიორგაძე, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე და სხვები.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ი. ჩოგოვაძემ.

მოხსენება მშენებლის დღისა და რესპუბლიკის მშენებელთა ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ნ. ლაღიძემ.

მომხსენებელმა ილაპარაკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ყურადღებაზე მშენებლობის საკითხებისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებშიც დასახულია მშენებლობის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა ფართო პროგრამა.

საქართველოს მშენებლებს საბჭოთა ქვეყნის ყველა მშენებელთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ მეექვსე ხუთწლედის დიდებული გეგმის განხორციელებაში.

მაგრამ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობაში კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ირღვევა ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის დაწესებული ვადები, სათანადო დონეზე არ არის სამუშაოთა ხარისხი, განსაკუთრებით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში. მშენებელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა, ზედმეტობის წინააღმდეგ ბრძოლა დაპროექტებასა და მშენებლობაში.

ჩვენი რესპუბლიკის მშენებლები ყოველივეს გააკეთებენ, რათა ღირსეულად გაართვანთავი ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან.

მშენებლებს ქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა სახელით მიესალმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თ. კ. ქუთათელაძე.

შეკრებილთ მიესალმა აგრეთვე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი ამხ. გ. ვ. ვარდოსანიძე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკანაძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ს. ს. როსტიაშვილმა გამოაქვეყნა ბრძანებულება მშენებლის დღესთან დაკავშირებით საქართველოს მშენებლობათა 49 მოწინავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

კრების დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

გამოვასწოროთ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში

ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში თავის გასამართლებლად ერთი სტანდარტი აქვთ შემუშავებული: გაზაფხულზე არახელსაყრელი ამინდი იყო, შემდეგაც ამინდმა არ გაგვიმართლა იმედებიო. მართალია, უამინდობამ ერთგვარად ხელი შეუშალა ჩაის ფოთლის დროულად შემოსვლას, მაგრამ ის დიდი ჩამორჩენა, რაც ამჟამად გვაქვს რესპუბლიკაში ჩაის ნედლეულის კრეფაში, მარტო ამით როდი აიხსნება.

საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი მეჩაიეობის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა ვერ გაითვალისწინეს წლევანდელი გაზაფხულ-ზაფხულის თავისებურებანი და ვერ უზრუნველყვეს ბუჩქებიდან ყრუ დუყების დროულად მოკრეფა, რამაც ბევრგან გამოიწვია მისი გაუხეშება, დანაკარგები. ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან ორგანიზებული არ იყო ჩაის ფოთლის ყოველდღიური, განუწყვეტელი კრეფა. ვერ მოაწყეს შრომის სწორი ორგანიზაცია, მკრეფავები გვიან იწყებენ მუშაობას და ადრე ბრუნდებიან შინ.

ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესების დარღვევები იყო სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, სოფელ ეწერის რუსთაველის სახელობის, წყალტუბოს რაიონის მალენკოვის სახელობის, სოფელ გუმბრას ვოროშილოვის სახელობის, გეგეჭკორის რაიონის ლენინისა და კუიბიშევის სახელობის, წულუკიძის რაიონის კუხის სტალინის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში. ეს არის ერთერთი მიზეზი იმისა, რომ ამ კოლმეურნეობებში ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმების შესრულება საფრთხის წინაშეა. ასეთივე მდგომარეობაა ქობულეთის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ხობის და წალენჯიხის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ნაკისრი ვალდებულება ჯერჯერობით საქმედ ვერ აქციეს. ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენა ამ რაიონში კვლავ გრძელდება.

ნედლეულის დამზადების სამი თვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ტყიბულის, ქუთაისის, წულუკიძის, ცხაკაიას, ლანჩხუთის და სამტრედიის რაიონები.

ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა წლიური გეგმით უნდა მოკრიფონ 2.650.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 10 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 1.626.215 კილოგრამი. ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. აგვისტოს დავალება შესრულებულია მხოლოდ 10,4 პროცენტით. სოფელ ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლს ყოველდღიურად, განუწყვეტლივ არ კრეფენ. ამან გამოიწვია ის, რომ აქ წლიური დავალება შესრულებულია 58,8 პროცენტით, აგვისტოსი კი — 11,5 პროცენტით. დიდი ჩამორჩენაა სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, აქ აგვისტოს ცხრა დღეში მოკრიფეს მხოლოდ 3.695 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმით კი უნდა მოეკრიფათ 64.147 კილოგრამი. ასევე ჩამორჩნენ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის, ზანის ჟდანოვის სახელობის, ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ცუდად უვლიან ჩაის პლანტაციებს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა როდია საერთოდ რესპუბლიკაში. ჩაის პლანტაციების პირველი თოხნა-კულტივაციის გეგმა 1 აგვისტოსათვის არ იყო შესრულებული, ხოლო მეორე თოხნა-კულტივაცია ჩატარებულია 33.600 ჰექტარზე ნაცვლად 53.000 ჰექტარისა.

ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამტრედიის, ზესტაფონის, ცხაკაიას, აბაშის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, გუდაუთის, წულუკიძის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ამის გამო ჩაის პლანტაციების ნაწილი გაბალახიანებულია და ეკალ-ბარდით არის დაფარული.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან კონკრეტული დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ მტს-ებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და ყოველი ღონისძიებით დაძლიონ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში. აგვისტოს თვითეული დღე, საათი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მთელი ძალები დავიზმოთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

დავაჩქაროთ სიმინდის თესვა ნაწვერალზე

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითადი ძალა ახლა წარმართულია მოსავლის უმოკლეს ვადებში და უდანაკარგოდ აღებისაკენ. მაგრამ ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის წარმატებით განხორციელებასთან ერთად კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს ამ დღეებში კიდევ ერთი სერიოზული საზრუნავი აქვთ. ეს არის ნაწვერალზე სიმინდის თესვა. სიმინდი დიდი შესაძლებლობის კულტურაა. იგი ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას.

ნაწვერალზე სიმინდის თესვა საკვები ბაზის განმტკიცების მძლავრი რეზერვია. აღმოსავლეთ საქართველოში ყველა შესაძლებლობა არსებობს ერთსა და იმავე ფართობზე მივიღოთ მარცვლის ორი მოსავალი წელიწადში. ამას ამტკიცებს გასული წლების მაგალითი. გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, წითელწყაროს რაიონებში შარშან არათუ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში აიღეს სიმინდი, არამედ ნაწილი მარცვლადაც მოტეხეს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ ნაწვერალზე დათესილი 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 31,8 ცენტნერი ხმელი მარცვალი, ხოლო 190 ჰექტარზე სიმინდი რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში აიღეს და თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 162 ცენტნერი ტარო და მწვანე მასა. ასეთი მაგალითები ბევრია.

წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ნაწვერალზე სიმინდი უნდა დაითესოს 30.130 ჰექტარზე. 5 აგვისტოსათვის დათესილი იყო 21.738 ჰექტარი. დასათესად მოხნული იყო მხოლოდ 26.000 ჰექტარი. ეს ციფრები მოწმობენ, რომ თესვის მხრივ მდგომარეობა საგანგაშოა.

მარნეულის რაიონმა დაამთავრა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მაგრამ 10 აგვისტოსათვის გეგმით გათვალისწინებული 3.510 ჰექტარიდან ნაწვერალზე სიმინდი დათესილი იყო 3.015 ჰექტარზე. ასეთი მდგომარეობა იმით უნდა აიხსნას, რომ პარტიის მარნეულის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას კოლმეურნეობებისა და მტს-ების მიმართ, რათა ყოველი ღონისძიებით დაჩქარონ ეს სამუშაო.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იტყობინება, რომ 10 აგვისტოსათვის მთელ ოლქში ნაწვერალზე სიმინდი დათესილია 417 ჰექტარზე, როცა გეგმა 1.000 ჰექტარს ითვალისწინებს. ბევრგან ოლქში მინდვრებს დროულად არ წმენდენ ნამჯისაგან, მტს-ების ტექნიკა სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული ნიადაგის მოსამზადებლად. ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნიადაგის მომზადებისა და თესვის საქმე აშკარად თვითდინებაზეა მინდობილი. განა ეს სავალალო მდგომარეობა იმას არ მოწმობს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჯერჯერობით განზე დგანან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისაგან?

საგარეჯოს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სიმინდის ნაწვერალზე თესვა ჩამორჩა. თესვის გეგმა რაიონში შესრულებულია 81,5 პროცენტით. ეს მაშინ, როცა აქ მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება უკვე დამთავრებულია. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამ ნაკლოვანებებს რატომღაც ურიგდებიან და არ აღებენ ქმედითს ზომებს თესვის დავალების გეგმის დაჩქარებით შესასრულებლად.

ამ მხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გორის და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ნაწვერალზე სიმინდის თესვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მის შეუფასებლობას შეუძლია ზიანი მიაყენოს საკოლმეურნეო წარმოებას, უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის განვითარებას.

თესვის დაჩქარებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის კარგად მომზადებას და მაღალხარისხოვნად თესვას. სიმინდის დასათესად განკუთვნილ ნაკვეთებზე მოსავალი უნდა ავიღოთ პირველ რიგში, უმოკლეს ვადებში და უდანაკარგოდ, ნამჯა უნდა მოიჭრას რაც შეიძლება დაბლა და ნაკვეთები დაუყოვნებლივ გაიწმინდოს ნამჯისაგან, რითაც მეორე საქმეც გაკეთდება, გადიდდება უხეში საკვების რესურსები.

დიდია მტს-ების როლი ნიადაგის მომზადებისა და თესვის საქმეში. მათ მოეპოვებათ მძლავრი ტექნიკა, შესანიშნავი კადრები. საჭიროა მხოლოდ ამ ტექნიკისა და ძალების უნარიანი გამოყენება, არ შეიძლება შევურიგდეთ ტრაქტორების მოცდენას თესვის ამ გადამწყვეტ დღეებში. უნდა დავაფასოთ დროის ფაქტორი, წავახალისოთ მოწინავე მექანიზატორები და ძალების მთელი დაძაბვით ვიბრძოლოთ დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მტს-ების დირექტორები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ნაწვერალზე სიმინდის თესვას.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან მოსავლის აღების, პურის დამზადების სამუშაოებთან ერთად ოპერატიულად, კვალიფიციურად უხელმძღვანელონ საკვების დაგროვებას, ნაწვერალზე სიმინდის დროზე და მაღალხარისხოვნად თესვას.

ოდესის ოლქმა შეასრულა რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა

ოდესის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 154 ათასი ტონა რძე, ანუ 55 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ვადამდე 101 პროცენტით შესრულებულია აგრეთვე საკრაველი-სამაქდაკე ტყავების დამზადების სახელმწიფო გეგმა.

ახალ მიღწევებს მოელის თქვენგან სამშობლო, ამხანაგო მშენებლებო!

რუსთავში—რესპუბლიკის ინდუსტრიულ ქალაქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავი უკვე რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი ინდუსტრიული ქალაქია. დიდი ენერგია, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ჩააქსოვეს რუსთავში აგებული ყოველი სახლის, ყოველი ქუჩისა და უბნის გაშენების ჩვენმა მშენებლებმა. მკითხველმა წარმოდგენა რომ იქონიოს, თუ რა დიდი შრომაა გაწეული ამ ახალი, საქართველოს საამაყო ქალაქის გაშენებაზე, მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას:

რუსთავის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე შესრულებულია 17.900.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო, შენობათა ასაგებად დაწყობილია 1.300.000 კუბმეტრი ქვა, შესრულებულია 1.232.000 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაო, დამონტაჟებულია 115 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, ქალაქის ტერიტორიაზე საწარმოო დანიშნულებისათვის გაყვანილია 275 კილომეტრი საერთო სიგრძის რკინიგზის ლიანდაგი, გზატკეცილები გაყვანილია 156 კილომეტრ საერთო სიგრძეზე და ა. შ.

ყველა სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად რუსთავის მშენებლებს დასჭირდათ 528 ათასი ტონა ცემენტი, 916 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე, 100 ათასი ტონა ლითონი (გარდა საკონსტრუქციო ლითონისა), 76.000 ტონა მილები, 200 მილიონამდე ცალი აგური და დიდძალი სხვა საშენი მასალა.

დიდი საქმე გააკეთეს რუსთავის მშენებლებმა, მაგრამ ეს მათ ვერ იზსნის საყვედურისაგან იმისათვის, რომ ახლა არ მუშაობენ ისე გამართულად. ისე კარგად, როგორც მოეთხოვებათ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რუსთავის მშენებლებმა, რომლებსაც ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი ერთიანებს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 109 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ ამასთან დიდად ჩამორჩნენ საბინაო მშენებლობაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. წლის პირველ ნახევარში მშენებლებს უნდა დაემთავრებინათ და საექსპლოატაციოდ ჩაებარებინათ 31.812 კვადრატული მეტრის შემცველი საცხოვრებელი სახლები, ფაქტიურად კი ჩააბარეს მხოლოდ 26.935 კვადრატული მეტრი ფართობი, რაც გეგმის 84,4 პროცენტს უდრის.

სამრეწველო მშენებლობის ობიექტების აგებაზე ჩვენმა მშენებლებმა განვლილ თვეებში წარმატებით იმუშავეს. მათ შეძლეს ვადამდე გადაეცათ საექსპლოატაციოდ აზოტოვანი სასუქების ქარხნისა და ცემენტის ახალი ქარხნის მთელი კომპლექსები, მაგრამ უკვე თავი იჩინა ერთგვარმა მოდუნებამ წლის მეორე ნახევარში ასამუშავებელი სამრეწველო ობიექტების მშენებლობებზე. მოსალოდნელია, რომ თუ უმოკლეს დროში ვერ მოვახერხეთ მდგომარეობის გამოსწორება, დროულად ვერ ავამუშავებთ მთელ რიგ დიდ საწარმოო ობიექტებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი საჭიროა გადაჭრით გავუმჯობესოთ მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე, შეუფერხებლად მივაწოდოთ მშენებლებს ხე-ტყე, ცემენტი, სამშენებლო ლითონი და მემონტაჟეებს — ტექნოლოგიური მოწყობილობა.

ტრესტის ცალკე სამშენებლო სამმართველოებიდან სანიმუშოდ მუშობენ მეტალურგმშენის, ქიმმრეწვმშენის, ტრანსსპეცმშენის, ქალაქმშენის სამმართველოები. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა დავეხმაროთ უფრო სუსტად მომუშავე სამშენებლო სამმართველოების კოლექტივებს, წამოვწიოთ მათი საქმე წინ და გავუთანაბროთ ისინი მოწინავეებს.

საბინაო მშენებლობაში ჩამორჩენა ძნიშვნელოვნად თვითონ მშენებლებისა და ჩვენი, მათი ხელმძღვანელების, მოუქნელობის შედეგიც არის. ახლა ჩვენ საკმაო რაოდენობით გვაქვს სამშენებლო მექანიზმები, ჩვენი საექსკავატორო პარკი უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გადიდდა 3,5-ჯერ, ბულდოზერების პარკი — 8-ჯერ, კოშკურა ამწეები ახლა 10-ჯერ მეტი გვაქვს, ვიდრე შარშანწინ გვქონდა, ასევე კარგად ვართ აღჭურვილი დანარჩენი სახის სამშენებლო ტექნიკით, მაგრამ ამასთან ამ ტექნიკას ვერ ვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა. უკვე დამუშავებული გვაქვს ღონისძიებები ამ მხრივ მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების მისაღწევად და, თუ ამ ამოცანის — მექანიზმების სრული სიმძლავრით და სრული დატვირთვით გამოყენების ამოცანის შესრულება შევძელით, ამით 1000-მდე მუშას გავათავისუფლებთ სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად.

აქედან უკვე ცხადი ხდება, თუ რაოდენ დიდი გამოუყენებელი რესურსები გვაქვს მშენებლებს იმისათვის, რომ დავაჩქაროთ მშენებლობა, გამოვასწოროთ მდგომარეობა საბინაო მშენებლობის ფრონტზე.

მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენება საუკეთესო ეფექტს გვაძლევს. მაგალითად, 1950 წელს ყოველი მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად გვჭირდებოდა და დაბანდებული გვყავდა 83 მშენებელი. წელს კი მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად ამავე მოცულობის სამუშაოს ვასრულებთ 61 მშენებლის საშუალებით.

დიდ ეკონომიურ ეფექტს გვაძლევს აგრეთვე ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება ხე-ტყის მასალის შესაცვლელად. წელს 1 მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად დავხარჯეთ 333 კუბმეტრი ხე-ტყე, ანუ 230 კუბმეტრით ნაკლები, ვიდრე რკინაბეტონის კონსტრუქციების მასობრივად გამოყენებამდე ვხარჯავდით.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას. მართალია, ამ მიმართულებით შესაძლებელი იყო მეტის გაკეთება, მაგრამ რაც გავაკეთეთ, ისიც ცხადს ხდის, თუ რა დიდი ნაყოფი მოაქვს ამ მხრივ გაწეულ მუშაობას. ჩვენი მოწინავე ადამიანების — კალატოზების ფ. მარკოვის და ა. წიკლაურის, მღებავ ლ. მუზაშვილის, ხურო ა. ზურაბაშვილის, ავტომძღოლ ა. ვეგლიდინის, ექსკავატორის მემანქანის გ. ოდიკაძის, ლიანდაგმშენებლის მ. ბაგიროვის და სხვა მოწინავე ადამიანთა გამოცდილების გავრცელებამ დიდად შეუწყო ხელი მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. რუსთავის ცემენტის ახალი ქარხნის მშენებლობა დამტკიცებული ნორმების მიხედვით უნდა დაგვემთავრებინა 40 თვეში, ხოლო ნამდვილად 34 თვეში დავამთავრეთ. ეს პატარა საწარმო როდია, იგი თავისი სიმძლავრით ბევრად აღემატება კასპის ცემენტის ქარხანას, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში აშენებდნენ.

ახლა რუსთავში ყოველი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 4-5 თვეში მთავრდება, ხოლო შარშან და უფრო ადრე ასეთივე სახლების მშენებლობას წლები უნდოდა.

რუსთავის მშენებლების გადაწყვეტილებაა უმოკლეს დროში გამოასწორონ მდგომარეობა საბინაო მშენებლობის ფრონტზე, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის პასუხად უზრუნველყონ მიმდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვანი მაჩვენებლებით განაღდება, კიდევ უფრო გაამშვენიერონ და გააფართოონ თავიანთი ქალაქი — რუსთავი.

ნ. გიოგრგაძე,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი.

* * *

სურათზე: რუსთავში ახლადგაშენებული საბჭოსა და სადგურის ქუჩების ხედი.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქუთაისელ მშენებელთა ახალი ამოცანები

ვისაც უნახავს ქუთაისი ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ, უთუოდ ეხსომება, რას წარმოადგენდა საქართველოს ეს უძველესი ქალაქი იმ დროს. ვიწრო, დაკლაკნილი, ტალახიანი ქუჩები, პატარა ერთსართულიანი სახლები... ქალაქს არ ჰქონდა წყალი, ელექტროენერგია. ერთადერთ ტრანსპორტს ეტლები წარმოადგენდნენ.

საბჭოთა ხუთწლედების პერიოდში ქუთაისმა გასაოცრად იცვალა სახე. იგი გადაიქცა ნამდვილი სოციალისტური ტიპის ქალაქად, ფართო, მოასფალტებული, ლარივით გაჭიმული ქუჩებით, მრავალსართულიანი, არქიტექტურული ანსამბლებით, მძლავრი ქარხნებითა და ფაბრიკებით. ქალაქის ცენტრს აშენებს დრამატული თეატრის ახალი შენობა. უკანასკნელ წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი სასკოლო შენობა, ხიდი, საზოგადოებრივი დანიშნულების ბევრი სხვა ნაგებობა.

კიდევ უფრო გალამაზდება და გამშვენიერდება ქუთაისი მეექვსე ხუთწლედში. ქუთაისელმა მშენებლებმა ამ ხუთწლედში უნდა აითვისონ მრავალი ათეული მილიონი მანეთი. ეს მათგან მოითხოვს მეტ ორგანიზებულობას, შრომას, მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

როგორც ქუთაისში, ისე წყალტუბოში და სხვა მომიჯნავე ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მშენებლობას ახორციელებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეოთხე საერთო-სამშენებლო ტრესტი. წელს ტრესტს შეუერთდა მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია „ქუთაისის ავტომშენი“ და ამასთან დაკავშირებით მას დაეკისრა სამრეწველო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის წარმება. წელს ტრესტს შეუერთდა აგრეთვე კუროორტ წყალტუბოს ოთხი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია, რომლებიც სანატორიუმების მშენებლობას ეწეოდნენ.

ამ ორგანიზაციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრესტის სამუშაო ფრონტიც. მშენებელთა კოლექტივი ამჟამად 60-მდე ობიექტს აშენებს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 2,3-ჯერ გაიზარდა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს საავტომობილო ქარხნის თბოელექტროცენტრალის მეორე რიგის მშენებლობა, რომლის დამთავრება მკვეთრად გაუუჯობესებს ქარხნის მომარაგებას ელექტროენერგიით.

საბინაო მშენებლობიდან აღსანიშნავია საცხოვრებელი სახლები საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე, 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ლენინის პროსპექტზე, რომელიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 7 ნოემბრისათვის.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის სამშენებლო პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის წყალსადენის რეკონსტრუქცია, № 3 აბანოს მშენებლობის დამთავრება, სამრეწველო კომბინატის ოთხსართულიანი ადმინისტრაციული სახლის, ტროლეიბუსის დეპოს, ძერჟინსკისა და კომკავშირის ქუჩების შემაერთებელი სარკინიგზო ხიდის, ახალი სასკოლო შენობის და მთელი რიგი სხვა შენობების აგება.

ტრესტის კოლექტივმა ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა, იკლისში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ქუთაისის ობიექტებზე შეასრულა 100,1 პროცენტით. განსაკუთრებით დაწინაურდა მეოთხე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც 7 თვის სახელმწიფო დავალება 113,1 პროცენტით გაანაღდა. კარგად იმუშავა პირველი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმაც.

ასეთ შედეგებს მშენებლებმა მიაღწიეს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საკითხებს, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებას. ტრესტს მოწყობილი აქვს საკუთარი კომბინატი, რომელიც მშენებლებს ამარაგებს მზა საშენი დეტალებით, ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, სხვადასხვა ზომის ფილებით, მსხვილი საკედლე ბლოკებით.

მაგრამ ქუთაისელი მშენებლების მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. ჩამოვრჩით მშენებლობის თვითღირებულების საგეგმო დონეს, ჯეროვნად ვერ მოვაწყეთ ბრძოლა მასალებისა და თანხების ეკონომიის მისაღწევად, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენს მშენებლების მომარაგება ინდუსტრიული წესით დამზადებული სამშენებლო კონსტრუქციებით. ასეთი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უკვე შეუდგენია ქუთაისში ბეტონის ქარხნის რეკონსტრუქციის და წყალტუბოში ახალი ბეტონის კვანძის მშენებლობას, რაც ხელს შეუწყობს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების ზრდას.

ჩვენი ტრესტის კოლექტივი ცუდი მაჩვენებლებით როდი ხვდება მშენებელთა დღესასწაულს. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება, რასაკვირველია, არ შეიძლება. ჩვენი ვალია მოკლე ხანში აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, ფართო მასშტაბით გადავიდეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდებით მუშაობაზე, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას და მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას.

ქ. მორეტი,
მეოთხე საერთო-სამშენებლო ტრესტის მმართველი.

ლაპარაკობენ მშენებლები

ვარაზისხევის მშენებლები უცდიან...

ვარაზისხევის ქუჩის მშენებელთა კოლექტივმა პირობა მისცა თბილისის მშრომელებს და სოციალისტურ ვალდებულებად იკისრა წელს 7 ნოემბრისათვის დაამთავროს ქუჩის გაყვანის ყველა სამუშაო და უზრუნველყოს საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის გახსნა საბჭოთა კავშირის გმირების მოედნიდან ვარაზისხევის ქუჩით.

ამჟამად ყველა სამუშაო, რაც უნდა შეგვესრულებინა გრაფიკის მიხედვით, უკვე შესრულებულია, მაგრამ ქუჩის ხავალი ნაწილის კეთებას ჯერ კიდევ ვერ შევუდექით, ვინაიდან ხევი მიწაყრილით არ არის ამოვსებული. მის ამოსავსებად საჭირო 250 ათასი კუბმეტრის ნაცვლად ჯერჯერობით ხევში 60 ათასი კუბმეტრი მიწაა ჩაყრილი. ქალაქის საბჭომ დაავალა თბილისში მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციებს, რომ მთელი სამშენებლო ნაგავი აქ მოზიდონ, მაგრამ მშენებლები ამ დავალებას უხალისოდ ასრულებენ.

ამიტომ ჩვენ ვუცდით, თუ როდის შეუდგებიან სამშენებელო ორგანიზაციები ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, სხვადასხვა ობიექტებზე მიწის სამუშაოთა შესრულების დროს ამოღებული მიწის ჩვენთან მოტანას.

ასეთივე დაბრკოლება მშენებელთა კოლექტივს შეხვდა შარშან, როდესაც მარცხენა ნაპირო ქუჩის გაყვანასა და კეთილმოწყობაზე ვმუშაობდით. იქაც საჭირო იყო დიდძალი მიწის დაყრა და რაკი ეს მიწა დროულად არავინ მოგვიტანა, თვითონვე შეუდექით უამრის მოპრას და საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით დანიშნულებისამებრ მის მიზიდვას. ახლაც არის იმის შესაძლებლობა, რომ მიწაყრილისთვის საჭირო მასალა მდინარე ვერის ხევში ვიშოვნოთ, მაგრამ ეს გაადვილებს მშენებლობას და მდინარის დინების რეჟიმისთვისაც ხელსაყრელი არ იქნება.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, უწინარეს ყოვლისა მისმა კომუნალურმა განყოფილებამ ამ საქმეში მშენებლებს ქმედითი დახმარება უნდა გაგვიწიონ.

ვ. კოკაია,
გზის მშენებელი, ინჟინერი.

მეშახტეების საყვედური

იმ მეშახტეებს, რომლებსაც ტყიბულში ბინები მოგვცეს ახალ სახლებში, მეტად ცუდ ვითარებაში გვიხდება ცხოვრება. სახლებში, არც ბუხრებია, არც ღუმელები და არც კვამლსადენები. ზამთარში ცივსა ვერ დაგვინთია, ბინები ვერ გაგვითბია, ხოლო ელექტროღუმელებით სარგებლობა, მაშინ როცა ელექტროენერგიის ეკონომიისაკენ მოგვიწოდებენ, დაუშვებლად მიგვაჩნია.

დამპროექტებლებს კვამლსადენების დატანება შენობებში თურმე იმიტომ არ გაუთვალისწინებიათ, რომ ყველა ეს სახლი ცენტრალურ გათბობაზე უნდა გადაეყვანათ. საამისოდ მშენებლებს უნდა აეშენებინათ და მოეწყოთ ცენტრალური გათბობის მეურნეობა, მაგრამ ამ მეურნეობის მოწყობას უკვე რამდენიმე წელიწადია არაფერი ეშველა.

როდემდის გაგრძელდება ასე და როდის შეუდგებიან ცენტრალური გათბობისათვის საორთქლე მეურნეობის მოწყობას? ნუთუ მომავალ ზამთარსაც ცივ ბინებში შევხვდებით?

ამ კითხვაზე პასუხს მოველით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებისაგან.

კ. არსენიძე, ი. სახელაშვილი,
ტყიბულელი მეშახტეები.

რა გვიშლის ხელს

თბილისის ცენტრში, მელიქიშვილისა და კალანდაძის ქუჩების კუთხეში, უკვე მეოთხე წელიწადია გრძელდება საქართველოს არალითონური მადნეულის ტრესტის შედარებით პატარა მოცულობის ადმინისტრაციულ-საცხოვრებელი ოთხსართულიანი სახლის მშენებლობა.

გვრცხვენია მშენებლებს, რომ ამ სახლის აგება ასე დიდხანს გაგვიჭიანურდა, თუმცა ეს ჩვენზე როდი იყო დამოკიდებული. ჯერ კიდევ 1953 წელს სამშენებლო ტერიტორია შემოკავებული იყო, კალანდაძის ქუჩისაკენ ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, მშენებლებისათვის რომ საშუალება მიეცათ, ამ სახლის აგების დამთავრება იმავე წელს შეიძლებოდა.

ახლა გადაწყვეტილი გვაქვს წელს დავამთავროთ იგი. პირველ რიგში მობინადრეთა შესასახლებლად გავამზადოთ წინა კორპუსი და ამასთან ჩქარი ტემპით შევუდგეთ კალანდაძის ქუჩის მხარეს მეორე კორპუსის აგებას. ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ეს სახლი წელს დავამთავროთ, თუ ტრესტი ხელს შეგვიწყობს საშენი მასალების შეუფერხებელი მოწოდებით.

გ. გოგოლაშვილი,
სამუშაოთა მწარმოებელი.

საკუთარი ხელით ნაგებ სახლში

უკვე 46 წელია, რაც გამოცდილი და მარჯვე ოსტატი—კალატოზი ბალაბეგ მიკირტუმოვი თბილისში მუშაობს, საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სახლებს აგებს. ალბათ არ დაუთვლია და ზუსტად ვერც გიპასუხებთ, ამ ხნის განმავლობაში რამდენი სახლი ააშენა. თბილისში არათუ უბანი, ქუჩაც კი იშვიათია, რომ ახალი სახლი არ იყოს აღმართული და მის მშენებლობაში ამ სახელოვანი კალატოზის შრომაც არ იყოს გარეული.

არა ერთი და ორი კალატოზი აღუზრდია ამ ხნის განმავლობაში მიკირტუმოვს. იგი ყოველთვის ხალისით უზიარებს თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდებს, მუდამ მზად არის დახმარება გაუწიოს მეზობლად მომუშავე კალატოზებს. არც თვითონ კმაყოფილდება მიღწეულით, ყოველთვის გულდასმით სწავლობს ყოველივე ახალს, პროგრესულს. ფართოდ იყენებს თავის მუშაობაში სხვა მოწინავე კალატოზების გამოცდილებას.

სადაც მიკირტუმოვის ბრიგადა მუშაობს, საქმე ყოველთვის კარგად მიდის. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს შესრულებული სამუშაოს ხარისხს. არასოდეს არ აპატიებს იგი თავის ბრიგადის რომელიმე წევრს შრომაში თაღლითობას.

— ხელოსანი, რომელიც თავისი ნახელავის ხარისხისათვის არ ზრუნავს, ხელოსანი არ არის, — ამბობს ხოლმე მიკირტუმოვი.

გასულ წელს მიკირტუმოვის ბრიგადა კომინტერნის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობაზე მუშაობდა. კალატოზები დღეში 6-7 ათას აგურს აწყობდნენ, ორმაგად და სამმაგად ანაღდებდნენ ყოველდღიურ ნორმებს. იყო დღეები, როცა მარტო მიკირტუმოვი ცვლაში აწყობდა 2.000-3.000 აგურს, ხოლო ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება მთელი ბრიგადის ჩვეულებრივ ნორმას.

და აი დადგა დღე, როდესაც ახალ სახლში ბინების განაწილება დაიწყეს. ერთ-ერთი ბინა ბალაბეგ მიკირტუმოვს არგუნეს, როგორც საუკეთესო მშენებელს. მით უმეტეს, რომ იგი საკუთარი მარჯვენით აშენებდა ამ სახლს.

სურათზე: ა. მიკირტუმოვი მუშაობიდან დაბრუნების შემდეგ თავის ოჯახში.
ფოტო შ. იაშვილისა.

პირველად თბილისში

პარტიის XX ყრილობიდან განვლილ პერიოდში ჩვენი სამშობლოს მთელ რიგ ქალაქებში—მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებით, მსხვილი ბლოკებითა და დიდი პანელებით საცხოვრებელი სახლების ასაგებად და ამ საქმეში უკვე საგრძნობი გამოცდილებაც არის მიღებული.

მაგალითად, ლენინგრადში ახალი ხუთსართულიანი სახლი 102 დღეში ააშენეს. შენობის ყოველი კუბმეტრის აგებაზე აქ დახარჯეს კაცდღის ერთი მესამედი დრო, ხოლო მშენებლობის ღირებულება შეამცირეს 2,3 პროცენტით. ასევე მოკლე დროში ააგეს მოსკოვში ახალი სასკოლო შენობა, ქალაქ ბერეზნიკში „სევერალტიაჟსტროიმ“ ხუთსართულიანი შენობა 106 დღეში ააშენა, ყოველი კუბმეტრის აგებაზე 0,51 კაცდღე დახარჯა და შენობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 8 პროცენტით შეამცირა.

ამ მაგალითებიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მშენებლების წინაშე დასახული დიდი ამოცანებისათვის თავგასართმევად საჭიროა მასობრივად გადავიდეთ მსხვილი ბლოკებით და დიდი პანელებით მშენებლობაზე, ფართოდ გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, სამშენებლო მოედნები გადავაქციოთ სახლების ასაწყობ-სამონტაჟო მოედნებად.

თბილისში ასეთი ჩქარსნულ-ინდუსტრიული წესით შენობების საცდელ-საჩვენებელ აგებას ახლა ვიწყებთ. ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი უნდა ავაგოთ საბურთალოზე და ორი ოთხსართულიანი სახლი ბარნოვისა და ფალიაშვილის ქუჩებზე.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება მიანდო პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებელო სამმართველოს კოლექტივს, რომელიც უკვე შეუდგა ამ მეტად სერიოზული და პასუხსაგები დავალების შესრულებას.

ეს სახლი მსხვილი ბლოკებისა და დიდი პანელებისაგან უმოკლეს დროში რომ ავაგოთ, ამისათვის მთავარია წინასწარი სამუშაოების შესრულება: სამშენებლო მოედნის გამზადება, კომუნიკაციების მოწყობა, წყალსადენის, კანალიზაციის, სატელეფონო ქსელის გაყვანა, ნიაღვარმიმღებთა და ნიაღვარსაშვებთა აგება, შენობის საფუძვლის ამოყვანა მიწის ზედაპირამდე, ამწე მექანიზმების გამართვა და ა. შ.

ყველა ეს სამუშაო ხუთსართულიანი სახლის ასაგებ მოედანზე ამჟამად უკვე შესრულებულია, მაგრამ მშენებლობას მაინც ვერ შევუდექით, ვინაიდან სამშენებლო მოედანზე ჯერჯერობით საკმაო რაოდენობით არ არის შემოზიდული მსხვილი ბლოკები, პანელები, რკინაბეტონის კონსტრუქციები. ჩვენმ ამოცანაა ამ შენობის აგება დავამთავროთ ოთხ თვეში. ამას ჩვენ უთუოდ შევძლებთ, თუ დეტალების მოწოდებაში არ შეგვშალა ხელი.

სამშენებლო დეტალების — მსხვილი ბლოკების, დიდი პანელების, სხვადასხვა კონსტრუქციების დამზადება და ჩვენთვის მოწოდება დავალებული აქვს საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტს, რომელსაც ამხ. ზ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. ჯერჯერობით ამ ტრესტმა მშენებლების მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა, ვერ შეძლო ჩვენთვის ეკლარის ქვით მოპირკეთებული ბლოკების ისეთი რაოდენობით მოწოდება, რომ გულდამშვიდებით შეეუდგეთ სახლის აგებას.

საჭიროა საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტმა გარდაქმნას მუშაობა, მკვეთრად გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, ვინაიდან უკვე ამთავითვე ცხადი ხდება, რომ მათი მუშაობის ახლანდელი ტემპი სრულიად არადამაკმაყოფილებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომაც ყველა ზომა მიიღოს ამ ტრესტის საბაზისო საწარმოების გაფართოებისათვის, ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს ტრესტს ამ საქმეში.

ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის საცდელ-საჩვენებელ მშენებლობას საქართველოში საბინაო მშენებლობის შემდგომი გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მშენებლობა იქნება ერთგვარი სკოლა, სადაც ჩვენი მშენებლები ისწავლიან, გამოცდილებას მიიღებენ.

მშენებელთა კოლექტივს, რომელსაც ამ საპატიო ამოცანის შესრულება დაეკისრეს, გადაწყვეტილი აქვს ამ სახლის მშენებლობა, მობინადრეთა შესასახლებლად გამზადება, უაღრესად მოკლე დროში დაამთავროს.

ა. გოგაძე,
პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

ჰექტარზე 700 ცენტნერი ვაშლისათვის

მეხილეობა კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ ერთ-ერთი წამყვანი და მაღალშემოსავლიანი დარგია. მე მოსავლელად მაქვს ერთი ჰექტარი ხეხილის ბაღი. ბაღში დროზე და მაღალხარისხოვნად ვასრულებ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას. ამიტომ არის, რომ ხილის უხვი ნოსავალი მომყავს. 1954 წელს მივიღე ყველაზე მაღალი მოსავალი, — ერთ ჰექტარ ბაღში მოვკრიფე 650 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერისა. საერთოდ, არ არის ისეთი წელი, რომ ვაშლის მოსავლიანობის გეგმა გადაჭარბებით არ მქონდეს შესრულებული.

რით ვაღწევ წარმატებას, რა ღონისძიებებით ვადიდებ ხილის მოსავლიანობას?

ცნობილია, რომ ნოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა ხეხილი უზრუნველყოფილი იყოს საკვები ნივთიერებებითა და წყლით. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ამუშავებ ნიადაგს. რადგან ჩემი მოსავლელი ბაღი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია, შიგ ვთესავ მრავალწლიანი ბალახებს — ესპარცეტისა და ნაზი ჭანგის ნარევს. ორი წლის შემდეგ შემოდგომით ბალახებს ჩავხნავ ხოლმე. ჩენი დაკვირვებით, ბალახების ორ წელზე მეტი დროით დატოვება სასურველი არ არის, რადგან მესამე წლიდან ღრმად განვითარებული ფესვებით ბალახი ნიადაგიდან ბლომად ითვისებს წყალსა და საკვებ ნივთიერებებს, რითაც მეტოქეობას უწევს ხეხილს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ხეხილის მოსავლიანობაზე. ნაზარდი სუსტდება, მოსავალი კლებულობს, ნაყოფი წვრილი გამოდის.

ბაღში მრავალწლიან ბალახებს სექტემბრის შუა რიცხვებამდე ვთესავ. თესვის დროს ჰექტარზე ნიადაგში შეგაქვს 100 კილოგრამი ფოსფორი, 40 კილოგრამი კალიუმი და აზოტის მთელი ნორმის ერთი მესამედი — 40 კილოგრამი. აზოტის დანარჩენი ორი მესამედი — 80 კილოგრამი შემაქვს ორ წილად: ერთი — გაზაფხულზე ხეხილის ყვავილობამდე, მეორე — ივლისში. აზოტოვანი სასუქის ასეთი წესით შეტანა უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მთელი ნორმის გაზაფხულზე ერთად მოხმარება. ნინერალური სასუქების გარდა ბაღში 2-3 წელიწადში ერთხელ შემაქვს 40 ტონა ნაკელი.

ბალახების ჩახვნის შემდეგ ნიადაგს სუფთა ანეულის მდგომარეობაში ვინახავ, რისთვისაც გაზაფხულის პერიოდში 3-4-ჯერ ვატარებ კულტივაციას ჯვარედინად. ხის ძირში დარჩენილ ფართობს კი ხელით ვთოხნი. ნიადაგის სუფთა ანეულის მდგომარეობაში ყოფნის პერიოდშიც სასუქები შეგაქვს ზემოაღნიშნული წესით. 5-6 წლის შემდეგ ისევ ვთესავ ბალახებს ორი წლით.

ქართლის პირობებში ნალექების სიმცირის გამო ბაღების რწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ზაფხულის პერიოდში 3-4-ჯერ ვრწყავ, უკანასკნელად კი — ხილის კრეფამდე ერთი თვით ადრე. გარდა ზაფხულის რწყვისა, ჩემი დაკვირვებით, განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ასეთივე ღონისძიების განხორციელება, რასაც მე ვატარებ ფოთლის ცვენის შემდეგ, ყინვების დაწყებამდე.

შემოდგომით, ფოთლების ცვენის შემდეგ ხეხილს გულდასმით ვსხლავ, რადგან ხეებს წლიური ნაზარდი საკმაოდ კარგი აქვთ, ვაჭრი ერთწლიანი ტოტის სიგრძის ერთ მესამედს, ორ მესამედს კი ვტოვებ. სხვლის ასეთი წესი ადიდებს სანაყოფე კვირტების რაოდენობას და მაშასადამე, მოსავალსაც. ტოტების დამოკლებასთან ერთად კრონის გამათხელებასაც ვაწარმოებ. ამ მიზნით პირველ რიგში ძირში ვჭრი გამხმარ ან დაზიანებულ ტოტებს, გარდა ამისა ვაცლი ისეთ ჯანსაღ ტოტებს, რომლებიც ხელს უშლიან მეზობელ ტოტებს ზრდაში, მსხმოიარობაში. ასეთი ღონისძიების შედეგად კრონის შიგნითა ნაწილს მეტი სინათლე აქვს და ხილიც კარგი ხარისხისაა. გასხვლის შემდეგ ორ სანტიმეტრზე უფრო დიდ ჭრილობას მაშინვე ვუსვამ ბიტუმის ნალამოს, რაც კარგად იცავს მას.

ს. ცაციაშვილი.

* * *

შემოდგომით ხეხილის შტამბს და დედა ტოტებს გულდასმით ვასუფთავებ დამსკდარი, ძველი ქერქისაგან. ჩამოცვივნულ ქერქს ვაგროვებ ხის ძირის ირგვლივ გაფენილ საფენზე და ვწვავ.

მავნებლები და ავადნყოფობანი დიდ ზიანს აყენებენ ხეხილს. მათ წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. კალიფორნიის ფარიანას წინააღმდეგ წამლობას ადრე გაზაფხულზე ვიწყებ. ხეხილის ნარგავებს ვბან მინერალური ზეთების 4-პროცენტიანი ემულსიით, რომელსაც ერთპროცენტიან „დდტ“-ს ხსნარს ვუმატებ. ქეცის წინააღმდეგ წამლობას კოკრების განცალკევებისას ვატარებ ერთპროცენტიანი ბორდოს ხსნარის შესხურებით, დანარჩენ წამლობას კი — საჭიროების მიხედვით. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ არ კმარა მარტო წამლობა. საერთოდ საჭიროა ხეხილს მაშინ ვუწამლოთ, როდესაც მას ყველაზე მეტი ეფექტის მოცემა შეუძლია, ამასთან დავიცვათ შესხურების ხარისხი. ამ პირობებს ზედმიწევნით ვიცავ. ამიტომ არის, რომ ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ ხეხილზე ფოთოლი და ნაყოფი საღია. ვაშლის ნაყოფჭამიას, რომლის წინააღმდეგ შხამებით ბრძოლა შედარებით ძნელია, ვებრძვი იმითაც, რომ მის მიერ დაზიანებულ და ჩამოცვივნულ ნაყოფს სამ დღეში ერთხელ ვაგროვებ და გამაქვს ბაღიდან.

არ კმარა დიდი მოსავალი მიიღო, საჭიროა ის მაღალი ხარისხისაც იყოს. ამიტომ გულდასმით ვემზადები მოსავლის ასაღებად, ჩამოცვივნულ ხილს, რომლის გამოყენება შეიძლება, დაუყოვნებლივ ვაგროვებ. განსაკუთრებით ვიცავ კრეფის წესებს. ყოველ ნაყოფს ცალკე ვკრეფ ისე, რომ ყუნწი ზედ შერჩეს, კრეფას ქვედა ტოტებიდან ვიწყებ და თანდათან გადავდივარ ზედა ტოტებზე. მოკრეფილ ხილს, რომ არ დაიჟეჟოს, ფრთხილად ვალაგებ ჭურჭელში და შემდეგ ისევ ფრთხილად გადამაქვს ყუთებში.

ბოლოს ერთი საკითხი, ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ ნაკვეთში გაშენებულია კეხურას ჯიშის ვაშლი. ახლა ნარგავი 26 წლისაა. ხეები ისე დიდი გახდა, რომ მათმა ტანმა ნთელი ფართობი დაფარა, ისინი ჯერ კიდევ იზრდებიან. ალბათ ახლო ხანში ტოტები ერთმანეთში გადაიხლართებიან და ხეხილის მოვლის სამუშაოებს გააძნელებენ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ძლიერ მოზრდილი ვაშლის ჯიშებისათვის დადგენილი მანძილი რიგში და რიგებს შორის — 10×10 მეტრი არ არის საკნარისი. ჩემი აზრით, უმჯობესია ნარგავს რიგში მიეცეს ათი მეტრი, ხოლო რიგთა შორის 12 მეტრი. ახალი ბაღების გაშენებისას ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ ჩვენ, მეხილეებს, დიდ პერსპექტივებს გვისახავს. ნშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ახალი დადგენილების პასუხად ვალდებულება ვიკისრე წელს ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ **ერთ ჰექტარ ხეხილის ბაღში მოვკრიფო 700 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერისა.** მართალია, ვალდებულება დიდია, მაგრამ ამას აუცილებლად შევასრულებ.

სიკო ცაციაშვილი,

გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მეხილე, ლენინის ორდენოსანი.

მაღალმთიან რაიონში მოსავლის აღება ჩაღდება

ასპინძა. („კომუნისტის“ კორ.). ათი დღეა რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მკის პირველი შედეგები მოწმობენ, რომ გასულ წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობამ 4-5 ცენტნერით იმატა.

პურეულის მკას პირველი შეუდგნენ სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის, სოფელ იდუმალის ორჯონიკიძის სახელობის, ასპინძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები. თუ შარშან რუსთავის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 6 ცენტნერი ხორბალი, წელს იღებენ 11-12 ცენტნერს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერისა.

ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაში თავი ისახელა კომბაინერმა ლ. ივანოშევმა, რომელიც დღეში მკის 10-12 ჰექტარს ნაცვლად ნორმით დაწესებული 8 ჰექტარისა.

ასპინძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე კ. ბეგაძე) ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება — მოსავლის აღება დაემთავრებინა ათ სამუშაო დღეში. ეს ვალდებულება ასპინძელებმა ერთი დღით ადრე შეასრულეს.

მოსავლის აღებაში ორგანიზებულობა გამოიჩინეს ნაქალაქევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. გაგაძე). აქ მოსავლის აღება რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს.

პურის ყანები სიმწიფეში შევიდა მაღალი ზონის კოლმეურნეობებშიც. უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას ხიზაბავრის ლენინის სახელობის და საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

პურეულის მკა და ლეწვა მასობრივად ჩაღდება რაიონის კოლმეურნეობებში. მექანიზატორებისა და კოლმეურნეების საპატიო ამოცანაა მოსავლი აიღონ შემჭიდროებულ ვადებში, არ დაუშვან არც ერთი კილოგრამი პურის დანაკარგი, ვადამდე შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კომკავშირული მუშაობის ორი მაგალითი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 4 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი, პარტიული ორგანიზაციის შეუწყნარებელი უყურადღებობა კომკავშირული საქმიანობისადმი.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა შეისწავლა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქართველოს ალკ(ბ) თეთრი წყაროს რაიკომის ბიუროს განიხილა სოფელ ასურეთის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. კობაძე გაათავისუფლა მოვალეობისაგან. მიღებული ზომებისა და პრაქტიკული დახმარების შედეგად კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა ამჟამად გაუმჯობესდა.

სახელოვანი თეატრალური კოლექტივი

მოსკოვის საბჭოს სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლების დამთავრების რამდენიმე დღის შემდეგ თბილისს ეწვია სახელოვანი თეატრალური კოლექტივი — თოჯინების ცენტრალური სახელმწიფო თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ობრაზცოვი.

რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს თეატრი თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა. წელს — ჩვენს დედაქალაქში საგასტროლოდ მესამედ ყოფნის დროს თეატრმა მაყურებელს 4 სახელწოდების სპექტაკლი უჩვენა. აქედან ორი ძველი რეპერტუარისაა— „არაჩვეულებრივი კონცერტი“ და „ბავშვებისათვის განკუთვნილი — „ჩექმებიანი კატა“.

თეატრმა წარმოადგინა ორი ახალი დადგმა — „შენი წამწამების შრიალში“ და „განქორწინების საქმე“.

სპექტაკლი „განქორწინების საქმე“ თანამედროეობის ამსახველი ყოფითი კომედიის თემატიკის განხორციელების წარმატებით დაგვირგვინებული ცდაა. მართალია, ყანრის თავისებურების გამო სპექტაკლში ვერ ხერხდება ქორწინების, საბჭოთა ოჯახის ამ მეტად სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ იგი აღწევს თავის მიზანს — გონებამახვილურად დასცინის იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს ოჯახური მყუდროების შექმნაში.

მაყურებელმა ნათლად დაინახა, რომ თეატრი თავის შემოქმედებითს ძიებაში ღრმად სწვდება სინამდვილეს, ადამიანის ფსიქოლოგიას, მისი გრძნობების ნიუანსებს. სპექტაკლებში „შენი წამწამების შრიალში“ და „განქორწინების საქმე“, ისევე როგორც ნამდვილ თეატრში, მაყურებელმა იხილა სპექტაკლის თითქმის ყველა კომპონენტი — დეკორაცია, ავანჯი, რეკვიზიტი. მკაფიოდ ჩანს რეჟისორის იდეური გააზრება, რაც გადაწყვეტილია საინტერესო მიზანსცენებში, ორიგინალურად დამუშავებულ ცალკეულ სცენებში და მოქმედ პირთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

თეატრის კოლექტივის ყოველი წევრი ბრწყინვალედ ეუფლება თავის ხელოვნებას. როდესაც მაყურებელი ხედავს სპექტაკლს, მას უმალ ავიწყდება, რომ მის წინ ადამიანის თითებით ამოძრავებული თოჯინები მოქმედებენ. მაყურებელი კარგავს აგრეთვე პროპორციის აღქმის გრძნობას. ამიტომ არის, რომ როცა სპექტაკლ „არაჩვეულებრივი კონცერტის“ დამთავრებისას თოჯინების ნაცვლად გამოჩნდება მსახიობთა ხელები, ხოლო შემდეგ თვით მსახიობები, მაყურებელს ისინი არაჩვეულებრივად დიდად ეჩვენებიან.

გასტროლების 11 დღის განმავლობაში წარმოდგენილ 13 სპექტაკლს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში უამრავი მაყურებელი დაესწრო.

ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს თოჯინების გამაცოცხლებელ მსახიობთა მუშაობის პროცესი, მისთვის გასაგებია ის რთული და შემოქმედებითად მეტად საინტერესო მუშაობა, რომელსაც ამ ჟანრის ხელოვანნი ეწევიან.

მოსკოვის თოჯინების ცენტრალური სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ბრწყინვალე ოსტატობის შედეგად სპექტაკლებში მოქმედი თოჯინები დადიან, ლაპარაკობენ, კამათობენ, ცეკვავენ და მოქმედებენ ისე, როგორც ნამდვილი ადამიანები, და რაც უფრო მეტად ემსგავსება თოჯინის მოძრაობა ადამიანის მოძრაობას, მით უფრო სასაცილო და გასაოცარია იგი. მაგალითად, ჩვეულებრივ თეატრში არავითარ რეაქციას არ გამოიწვევს მსახიობის სავარძელზე წამოწოლა, თამბაქოს გაბოლება, ტელეფონით ლაპარაკი, მანქანაზე ბეჭდვა ან ამის მსგავსი სხვა ფიზიკური მოძრაობა. თოჯინების თეატრში კი ეს მეტად საინტერესო და სასაცილოა (სპექტაკლი — „შენი წამწამების შრიალში“).

საგასტროლო სპექტაკლების შედეგად მიღებული დიდი ესთეტიკური სიამოვნებისათვის ქართველი მაყურებელი მადლობელია თოჯინების ცენტრალური თეატრის მთელი კოლექტივისა — რეჟისორისა, მსახიობების, მხატვრების, კომპოზიტორების, სამხატვროსადადგმო ნაწილის მუშაკებისა, იმათი, ვინც თოჯინები დაამზადა.

ჩვენი ქვეყნის ამ სახელოვანი თეატრალური კოლექტივის გასტროლები ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში.

მოსკოელი მსახიობთა სტუმრობა ჩვენს რესპუბლიკაში მათი მარტო შემოქმედებითი ანგარიში როდი იყო. გასტროლების დროს მოსკოველი მსახიობები გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის და მისი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

საგასტროლო სპექტაკლებით დიდად ნასიამოვნები და აღფრთოვანებული ქართველი მაყურებელი ძვირფასი სტუმრებისადმი მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული. მაგრამ ამ დიდ სიხარულთან ერთად იგი ნაწყენია იმით, რომ გასტროლების დრო ძალიან მცირე იყო. ქართველმა მაყურებელმა გულწრფელად შეიყვარა თეატრის თვითეული თოჯინა და მათი სულისჩამდგმელი მსახიობები, რომელთა გვარების უცოდინარობას სპექტაკლების პროგრამის უქონლობის გამო მეგობრულად უსაყვედურებს თეატრის დირექციას.

ჩვენი მაყურებელი ამ სახელოვან თეატრალურ კოლექტივს გამოეთხოვა კიდევ უფრო დიდი შემოქმედებითი წარმატებებისა და მალე შეხვედრის სურვილით.

ბ. ძნელაძე.

* * *

სურათზე: სპექტაკლ „არაჩვეულებრივი კონცერტის“ მონაწილე მსახიობები (მარცხნიდან): ნ. გეელსკი, ვ. ვალტერი, ო. ტარასოვა, ნ. ალექსახინი, ე. სინელნიკოვა, გ. სინელნიკოვი, ვ. ბალდე, პ. მელისარატო, ი. მაზინვი, ვ. ჟუკოვი და ვ. პაპრიკინი წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ეთხოვებიან მაყურებელს.

ფოტო ი. ზევინის და ა. ბალაბუევისა.

თავისი საუკუნის შვილი

რუსი მწერალი-ჟურნალისტი ნიკოლოზ კოლი ორ წელზე მეტია საქართველოში იმყოფება. იგი გულდასმით გაეცნო საქართველოს კოლმეურნეობებს, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს. მან განსაკუთრებით დიდი ხანი დაჰყო ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში, სადაც დაწვრილებით შეისწავლა მოწინავე ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას მუშაობის გამოცდილება და დაწერა ვრცელი მოთხრობა — „თავისი საუკუნის შვილი“. წიგნი ახლო ხანში გამოვა ქართულ ენაზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან, რომლის თარგმანი ეკუთვნის ლ. ბაგრატიონს.

ი მთაგრეხილს ასცდა და მაღლა ცაში მარასავთ ალტყორცნა მზის სხივები. ცოტა ხანიც, და მზე ლაღად გადმოდგა მუკერავლებზე.

სინათლის ჩანჩქერი ველებზე, მინდვრებზე, გორაკებზე გადმოიღვარა და ირგვლივ ყველაფერი — ჩაის ბუჩქები, ტუნგოს ჭალები, ვენახები, გზის პირას მდგომი ხეები — მიმზიდველად, საზეიმოდ აციმციმდა. ველებზე გაფოლილი ჩრდილები შეტორტმანდა. ჩაის ბუჩქების ბიბილოები ჰმუვნე ალბერვით აკიაფდა, ხოლო მუკრივებს შუა მუქ-ლურჯი ჩრდილი ჩაწვა. ვარდისფად შეფენილი ნისლი ნელა სცილდება დედამიწას და ჰაერში დნება.

თამარი და სტეფანე ჩაის პლანტაციას უახლოვდებოდნენ. მათ წინ ჩაის ბუჩქები გაშლილიყო. ბუჩქებს შორის დატოვებული ვიწრო ბილიკები სადღაც შორს ერთ მთლიან ხაზად შეერთებულიყვნენ. ჩაის ბუჩქები მთა-გორაკებს კალთებზე მომავალ დაკვარკნილებუნვიან ცხვრის ფარას დამსგავსებოდნენ.

სტეფანემ შეამჩნია როგორ ერთბაშად შეიცვალა თამარი, თავისი ბრიგადის სამფლობელოს რომ მიუახლოვდა. ნაბიჯს აუჩქარა, სახეზე დაბეჭდილი ყურადღება გამოეხატა. მზერა მახვილი, დაკვირვებული აქვს. მსუბუქად, ძალდაუტანებლად გადადის ღობეებზე.

თამარმა გასძახა ქალს, რომელსაც მისგან ხშირი ფოთლები ფარავდა. ქალი გამოეხმაურა. თამარმა ფანქარი ამოიღო და რაღაც ჩაინიშნა რვეულში.

სტეფანე წუხდა, რომ ენა არ ესმოდა და მთლიანად ვერ სწვდებოდა მოკლე, საქმიანი საუბრის შინაარსს.

თამარის სახეზე მღელვარება აღიბეჭდა. მან ჩაის რამდენიმე მუკანე ფოთოლი მოწყვიტა, მარგამ ისინი ძნელად ემორჩილებიან ხელს, გაუხეშებულან. შესაძლოა მეორე ხარისხად წავადეს! ეს კი ბრიგადას ღირსებად როდი ჩაეთვლება!

თამარს ერთი ბღუჯა ჩაის ფოთოლი უპირავს. იქვე მდგომ სახლს მიუახლოვდა და ხმამაღლა დაიძახა:

— ელენე!..

ჭიშკარს ხნიერი ქალი მიუახლოვდა. მას შირი, შავი წარბები, ღაჟღაჟა ლოყები და ვერცხლისფერი თმა აქვს. თამარს მიესალმა და უთხრა:

— ელენეს სძინავს. გავაღვიძო?

—არა, არ არის საჭირო. მან თვითონ უნდა ცოდეს როდის ადგეს. გადაეცი: მის ნაკვეთზე ჩაი უხეშობას იწყებს, სასწრაფოდ უნდა მოიკრიფოს.

თამარმა ჭიშკარი შეაღო და ჩაის ფოთლები ბალახზე დადო.

...სანამ სტეფანე და თამარი დადიოდნენ მაღლობებსა და ველებზე, სადაც ბრიგადის მეურნეობა იყო გაშლილი, ზოიამ როგორც იქნა გადეკლა ქალაქში ქვეითად წასულიყო, გაეკლო ხუთი კილომეტრი, მხოლოდ ამისათვის, რომ ეყიდა ალბომი ფოტოსურათებისათვის და საქაღალდე წერილებისა და გაზეთის ამონაჭრებისათვის.

დაბრუნება გაუძნელდა. ცხელი ქარი სახეში სცემდა. რუხი, თითქოს გავარვარებული მტვერი გზას ბოლავით დასდგომოდა, გზის გაყოლებით ირეოდა, გზისპირას და ბაღში მდგომი ხეებისა და ვაზების ფოთლებს ედებოდა. ძროხებს, თხებსა და ღორებს ფართოფოთლიანი ხეების ქვეშ შეეფარებინათ თავი, მცხუნვარე მზეს ემალებოდნენ. ფერდები ხშირი სუნთქვისაგან ერხეოდათ.

პაპანაქებაა. ზოიამ ძლივს მოაბიჯებს, სული ეხუთება.



სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინეთი



გომინდანელთა ხროვის წინააღმდეგ მკაცრ, შეუპოვარ ბრძოლაში ჩინელმა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სამუდამოდ მოიშორა იმპერიალიზმის უღელი.

საბჭოთა კავშირი მხურვალედ მიესალმა თავისი ძმის, ჩინელი ხალხის გამარჯვებას.

1950 წლის 14 თებერვალს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს ჩინელი და საბჭოთა ხალხების გულწრფელი მისწრაფება გაუწიონ ერთმანეთს დახმარება ეკონომიურ და კულტურულ პროგრესში, შემდგომ განამტკიცონ და გააფართოონ ძმური მეგობრობა ერთმანეთს შორის და ამით ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობას, როგორ ემსახურება იგი მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა ხალხი თავის მეგობარს ეხმარება სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადებაში და სხვ.

არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს კომუნიზმის გზაზე მიმავალ ხალხთა მეგობრობა.



სურათზე: ზემოთ — ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სასახლე შანხაში.

ფოტო ჩან ჩი-შენისა. სინხუას სააგენტო.

უნგრეთი

ბუდაპეშტი. (საკდესი). ამას წინათ უნგრეთში გაიხსნა აღმოსავლეთის მთავარი არხი, რომლის მშენებლობა ხუთი წლის წინათ დაიწყო. არხის სიგრძე 98 კილომეტრია, სიგანე — 40 მეტრი. ამ ნაგებობის საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად ტისის წყლები მორწყავს ათიათასობით ჰექტარ ყოფიერ მიწას ხაიდუბიხარის, სობოლჩის, ბეკეშისა და ჩონგრადის ოლქებში.

ჩეხოსლოვაკია

სახალხო ხელისუფლების წლებში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ჩეხოსლოვაკია გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ერთიორად და უფრო მეტად გადაჭარბა რა წარმოების ომამდელ დონეს, რესპუბლიკა ახლა ერთ სულ მოსახლეზე იღებს 200 პროცენტით მეტ ქვანახშირს და ადნობს 34 პროცენტით მეტ ფოლადს, ვიდრე საფრანგეთი. ჩეხოსლოვაკიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობაში, ტექნიკის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში.

ჩეხოსლოვაკიაში აშენდა ბევრი ახალი ფაბრიკა და ქარხანა, რომლებიც მრავალი სახის პროდუქციას უშვებენ. პრაღა-ვისოჩანის ელექტროსაათების ქარხანა უშვებს 140 სახეობის ელექტროსაათების ელექტროსაათების მექანიზმებს. მექანიზმების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადაქონ.

სურათზე: პრაღა-ვისოჩანის ელექტროსაათების ქარხნის კონტროლის განყოფილების გამგე კვეტოსლავ შტრახლი ამოწმებს ელექტროსაათებს.

ფოტო მევალდისა. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

გადადგა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ჰელსინკი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. ტერჭგრენმა, რომელიც მთავრობაში ვეედთა სახალხო პარტიის წარმომადგენელია, პრემიერ-მინისტრ კ. ა. ფაგერჰოლმს რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის გადასაცემად გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ.

ტერჭგრენის გადადგომა გამოწვეულია მთავრობის გადაწყვეტილებით იმის შესახებ, რომ განსხვისებულ იქნას თავდაცვის მინისტრის წინადადებით პოჯალა-ულის მიწის ნაკვეთები სამხედრო უწყების საჭიროებისათვის. ვეედთა სახალხო პარტიის ფრაქციამ ამ დღეებში სხდომაში განაცხადა, რომ იგი გამოიწვევს თავის წარმომადგენელს მთავრობიდან იმ შემთხვევაში, „თუ მთავრობა მნიშვნელოვნად არ შეამცირებს ფართობს, რომელიც განსხვისებულ უნდა იქნას სამხედრო უწყებისათვის“.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე სუეცის არხის საკითხის გამო

ეგვიპტე

კაირო, 10 აგვისტო. (საკდესი). ეგვიპტის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის არხის საკითხზე.

საბჭოთა განცხადებას ეგვიპტეში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, როგორც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს. საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტი გამოაქვეყნა ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდ სათაურებით მთელი გაზეთის ფურცელზე.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მთავრობას ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ მიაჩნია კანონიერ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ეგვიპტის სუვერენული უფლებებიდან. გაზეთები გამოჰყოფენ განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ სუეცის არხის ნაციონალიზაციას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნაოსნობის თავისუფლებასთან და არავითარი ცვლილება არ შეიქმნა ამ საკითხში.

ეგვიპტის პრესა დიდი ყურადღებით მოეპყრო აგრეთვე განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მთავრობას შეუწყნარებლად მიაჩნია ღონისძიებანი, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს ეგვიპტის მიმართ, და ამ ღონისძიებებს განიხილავენ როგორც გამოწვევას მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ღონისძიებანი საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას და შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან.

გაზეთები მთლიანად ბეჭდავენ განცხადების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა მთავრობის მოსაზრებებზე ლონდონის კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის ტენდენციური შერჩევის გამო და ნათქვამია, რომ კონფერენციაზე მიწვეულ უნდა იქნან არაბთა ქვეყნები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები.

გაზეთმა „ალ-გუმჰურიამ“ საბჭოთა მთავრობის განცხადება გამოაქვეყნა სათაურით: „არავითარი გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს ეგვიპტის სუვერენიტეტს. კონფერენციაზე მიწვეულ უნდა იქნან არაბთა სახელმწიფოები, რომლებიც მდებარეობენ ტერიტორიაზე ერაყიდან მაროკომდე...“

გაზეთი „ალ-აჰრამი“ სათაურში წერს: „რუსეთი აკრიტიკებს ლონდონის კონფერენციას და გმობს ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედებას, რომლებმაც ძალას მიმართეს, რათა ზემოქმედება მოახდინონ ეგვიპტეზე. ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაცია კანონიერი აქტია...“

გაზეთი „ეჟურნალ დ' ეჟიპტ“ საბჭოთა მთავრობის განცხადებას აქვეყნებს სათაურით: „საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს ეგვიპტეს“. გაზეთი „ლე პროგრე ეჟიპსიენი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი „არ დაუშვებს, რომ საეჭვოდ გახადონ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის საკითხი“.

საფრანგეთი

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). პარიზის პრესა უაღრესად ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის არხის საკითხზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საკდესის მიერ გადაცემული განცხადება გუშინდელი დღის მთავარი მოვლენაა. ყველა გაზეთს თვალსაჩინო ადგილზე დაწერილებით მოჰყავს განცხადების შინაარსი, ხაზგასმით აღნიშნავს სათაურებში, რომ სსრ კავშირი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მოწვეულ კონფერენციაში, მაგრამ წამოაყენა „სერიოზული შენიშვნები“.

პრესაში ბეჭდავენ აგრეთვე საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლის განცხადებას იმის შესახებ, რომ „საფრანგეთის მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირის თანხმობას მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში“ იმ პირობით, თუ გამოთქმული „შენიშვნები უნდა მივიჩნიოთ წინადადებებად, რომლებიც კონფერენციამ უნდა განიხილოს, და არა პირობებად, რომლებიც კონფერენციამდე უნდა შესრულდეს“. მაგრამ წარმომადგენელმა დასძინა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები წინააღმდეგი არიან კონფერენციის ვადის გადადებისა.

პარიზის შემარჯვენე გაზეთები, რომლებიც ასე თუ ისე ასახავენ კოლონიური წრეების თვალსაზრისს, დაუფარავი მტრობით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას. გაზეთი „ფიგარო“ გაბრაზებით უწოდებს ამ დოკუმენტს „მანიფესტსა და პროპაგანდას“. ზოგიერთმა ამ გაზეთმა საბჭოთა კავშირის წინადადება სუეცის არხის საკითხის კონფერენციაზე ტუნისისა და მაროკოს მიწეევის შესახებ „საფრანგეთის გამოწვევად“ მიიჩნია.

მეელ რიგ მიმომხილველთა აზრით, ამგვარ მოსაზრებათა შეუწყნარებელი ტონი მოწმობს კოლონიური წრეების ცდას — ზემოქმედება მოახდინონ დასავლეთის ყველაზე ძლიერ ქვეყნების მთავრობებზე, რათა აიძულონ ისინი შეინარჩუნონ „მაგარი“ პოზიცია.

სხვა გაზეთები უფრო საღად აფასებენ მდგომარეობას, რომელიც შეექმნა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის გამო. ისინი აღიარებენ საბჭოთა მთავრობის განცხადების უდიდეს მნიშვნელობას, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის ხელი შეუწყოს სუეცის არხის გამო დაკის გადაჭრას მშვიდობის, თანასწორუფლებიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის სულისკვეთებით.

გაზეთი „კომბა“ აღიარებს, რომ საბჭოთა მთავრობამ „სერიოზული შენიშვნები“ ჩამოაყალიბა და რომ მისი არგუმენტაცია „სოლიდურია“ იურიდიული თვალსაზრისით.

გაზეთი „ლუმანიტე“ მოწონავე სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ სამართლიანად დაგმო ინგლისისა და საფრანგეთის მუქარა ეგვიპტის მიმართ. „ლუმანიტეს“ მიაჩნია, რომ საბჭოთა განცხადებაში მოყვანილი წინადადებანი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა გაფართოებისა და კონფერენციის აგვისტოს დამლევს მოწყობის შესახებ ხელს შეუწყობენ პრობლემის ნამდვილად მშვიდობიან მოწესრიგებას. „სსრ კავშირის პასუხი და მასში მოყვანილი წინადადებანი, — წერს გაზეთი, — გვიჩვენებენ „სუეცის კრიზისის“ გადალახვის სამართლიან და გონივრულ გზას ეგვიპტის სუვერენული უფლებების პატივისცემის პირობებში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის“.

ამ დოკუმენტს ანალოგიურ შეფასებას აძლევს გაზეთი „ლიბერასიონი“, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მოსაზრებანი სავსებით დასაბუთებულია. „ცხადია, წერს გაზეთი, — რომ არავითარი კონფერენცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია უფლებამოსილი არ არის საეჭვო გახადოს ნაციონალიზაცია კომპანიისა, რომელიც თურიდიულად ეგვიპტის კომპანიაა. გარდა ამისა, სსრ კავშირს უფლება აქვს უსაყვედუროს დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ მათ არ მიიწვიეს ყველა სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1888 წლის კონვენციას, ან მათი მემკვიდრეები. კიდევ უფრო მეტი ყურადღების ღირსია საბჭოთა განცხადების პოლიტიკური პოზიცია. სსრ კავშირი გამოდის იმის დამცველად, რომ ყოფილ კოლონიურ ხალხებს უფლება აქვთ თვითონ განაგონ თავიანთი რესურსები“.

აღნიშნავს რა, რომ სუეცის არხის საკითხი საბჭოთა კავშირმა დაიკავა ინდოეთის, ინდონეზიის, აგრეთვე არაბთა და აზიის იმ ქვეყნების პოზიციების იდენტური პოზიცია, რომლებიც მიწვეული არ არიან კონფერენციაზე, „ლიბერასიონი“ შენიშნავს: „აი ერთსულოვნება, რომელიც არ უძებნიათ ლონდონსა და პარიზს!“

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

მოსკოვი, 11 აგვისტო. (ტელეფონით). სპორტის ცალკეულ სახეობებში უკვე დამთავრდა შეხვედრები. გათამაშების ცხრილმი გუნდებმა ჩაიწერეს სათანადო ქულები. პირველი დღეებიდანვე საერთო პირველობისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დედაქალაქის სპორტსმენთა ძლიერი კოლექტივი, რომელსაც დღეისათვის (სპორტის 15 სახეობა) შეგროვებული ჰქონდა 357 ქულა. მომდევნო ადგილზეა რსფსრ ნაკრები (341,5 ქულა). უკრაინა (312 ქულა), ლენინგრადი (311 ქულა), საქართველო (252 ქულა), ესტონეთი (195 ქულა), ბელორუსია (191 ქულა), უზბეკეთი (189 ქულა), აზერბაიჯანი (165 ქულა), სომხეთი (160 ქულა).

დამთავრდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. სპორტის ამ სახეობაში, სადაც პირველობის უდავო პრეტენდენტად საქართველოს გუნდს თვლიდნენ, სსრ კავშირის ჩემპიონი და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებული გახდა ლენინგრადის გუნდი (117 ქულა). საქართველოს გუნდმა 115 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ესტონეთი, მეოთხეზე — უკრაინა, მეხუთეზე — რსფსრ ნაკრები, მეექვსეზე — აზერბაიჯანი.

წონების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში ცალკალაძანიძე (საქართველო), მჩატე წონაში შახოვი (უკრაინა), ქვემსუბუქ წონაში ბალაევი (რსფსრ), მსუბუქ წონაში დადაშევი (აზერბაიჯანი), ფეზეაშუალო წონაში ავაბეკიანი (მოსკოვი), საშუალო წონაში სხირტლაძე (საქართველო), ქვემძიმე წონაში კულაევი (რსფსრ), მძიმე წონაში მეკოკაშვილი (მოსკოვი).

მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს ძალოსნებმა, რომლებმაც სსრ კავშირის და მსოფლიოს რეკორდების ცხრილში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს. როგორც ვიუწყებოდით, სახელმოხვეჭილმა ძალოსანმა სსრ კავშირის დამსახურებულმა ოსტატმა ვორობიოვმა გუშინ ქვემძიმე წონაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მანვე სამჭიდში აჩვენა 462,5 კილოგრამი, რაც 2,5 კილოგრამით აღემატება მის მიერვე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

მესამე დღეა ლენინის სახელობის სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე გრძელდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრები. ეს მასობრივი შეჯიბრება ხასიათდება ძაღალი სპორტული ბრძოლითა და კარგი სპორტული შედეგებით. როგორც ეიუწყებოდით, სპორტის ამ სახეობაში გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. საერთო ინტერესს იწვევდა სპრინტერთა ასპარეზობის ფინალი. ეს შეჯიბრება გაიმართა გუშინ საღამოს. სტარტის აღებიდან დაწინაურდნენ ბარტენევი და ტოკარევი. ფინიშთან პირველი აღმოჩნდა დედაქალაქის მძლეოსანი ტოკარევი, რომელმაც აჩვენა დრო 10,5 წამი. ამის შემდეგ გაიმართა ქალთა მეოთხე ფინალური ბრძოლა ამავე დისტანციაზე — 100 მეტრზე. სსრ კავშირის ერთერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა პოპოვამ (ვოლგოგრადოვა) ეს მანძილი გაირბინა 11,5 წამში და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

400 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ილინი (მოსკოვი). მისი შედეგია 51,1 წამი. გამოვლინდა აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი და სპარტაკიადაში გამარჯვებული ეროს ტყორცნაში. ეს საპატო წოდება მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა კრეკონოსოვამ შედეგით — 63 მეტრი და 3 სანტიმეტრი. მეორე ადგილი დაიკავა ნენაშევამ (აზერბაიჯანი).

დამთავრდა კალათბურთელთა შეჯიბრება ჯგუფებში. გამოვლინდნენ დასკვნითი ასპარეზობის მონაწილენი. გათამაშდება პირველი 6 საპრიზო ადგილი, აგრეთვე მომდევნო ადგილები — VII-XII-მდე და XIII-XVIII-მდე.

საქართველოს ქალთა გუნდისათვის გუშინდელ საღამოს შეჯიბრებას რსფსრ კალათბურთელებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წაგების შემთხვევაში იგი საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებში ვერ მოხვდებოდა. თამაში ტემპიანი და საინტერესო გამოდგა. უპირატესობა საქართველოს კალათბურთელთა მხარეზე იყო. მათ მოიგეს ეს პასუხსაგები მატჩი ანგარიშით 38 : 33 და ფინალში წაუგებლად გავიდნენ. ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდება პირველი 6 ადგილი, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მოსკოვის, ლატვის, რსფსრ, ლენინგრადის, ლატვიის გუნდები. ვაჟთა გუნდებს შორის პირველ ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ მოსკოვის, რსფსრ, ლიტვის, უკრაინის, ლატვიისა და უკრაინის გუნდები. სსრ კავშირის სპორტის ჩემპიონი საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი პირველ ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა.

გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა შეჯიბრება წყალბურთში ჯგუფების მიხედვით. როგორც ცნობილია, პირველ ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდება 6 საპრიზო ადგილი, ერთმანეთის პირველობას შეეცილება ჯგუფში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი (სულ 6). პირველი ჯგუფიდან ფინალში მოხვდნენ მოსკოვისა და აზერბაიჯანის გუნდები, მეორე ჯგუფიდან — საქართველოს და უკრაინის გუნდები, მესამე ჯგუფიდან — რსფსრ-ის ნაკრები და ლენინგრადის წყალბურთელები. საქართველოს წყალბურთელთა კოლექტივს თავის ჯგუფში გამართული მატჩებიდან არცერთი შეხვედრა არ წაუგია. ათი შესაძლებლიდან ბურთების შეფარდებით 44 : 5 ცხრა ქულა მოაგროვა. ფინალური შეჯიბრება წყალბურთში დაიწყება 12 აგვისტოდან. საცურაო აუზში მიმდინარეობს შეჯიბრება ცურვაში წყალში ხტომაში. დღეს გაიმართა შეჯიბრება ცურვაში 400, 1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 4×100 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში ქალთა და ვაჟთათვის და სხვა სახეობებში.

დიდი წარმატება ხვდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელს ბორის ნიკიტინს 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში. იგი სსრ კავშირის ჩემპიონი და სპარტაკიადაში გამარჯვებული გახდა.

გამოვლინდა გამარჯვებული ქალთა შორის ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. პირველ ადგილზე გამოვიდა ჩუმიჩევა (მოსკოვი). გუნდურ ჩათვლაში ტრამპლინიდან ხტომის შედეგი (ქალები, ვაჟები) ასეთია: პირველ ადგილზეა მოსკოვი, მეორეზე — რსფსრ, მესამეზე — უკრაინა, მეოთხეზე — საქართველო, მეხუთეზე — ლენინგრადი, მეექვსეზე — ბელორუსია.

დღეს დაიწყო შეჯიბრება ფარიკაობაში, რომელიც ხუთშიდის პროგრამაში შედის. პირველი დღე შედეგებით ლიდერია ყირგიზეთის გუნდი. საქართველოს გუნდს მეოთხე ადგილი უკავია.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულები სპატიო კვარცლბეკზე. მარჯვნიდან მარცხნივ — გ. პოპოვა (ლენინგრადი, რსფსრ), რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, გ. ბისტროვა (რსფსრ) — პირველი ადგილი, ნ. დვალიშვილი (საქართველო) მესამე ადგილი, ვ. სპრუნოვა (რსფსრ) — მეოთხე ადგილი, გ. ლებედევა (რსფსრ, ლენინგრადი) — მეხუთე ადგილი და ა. ხოტნიკოვა (რსფსრ) — მეექვსე ადგილი.

ფოტო ლ. დორენსკისა და ხ. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოკორონეა).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

თავისი საუკუნის შვილი

(დასასრული)

...პლანტაციაში სტეფანემ თამარის სახით გამბედავი და მხნე ქალი შეიცნო. თამარი მის ცნობიერებაში შეუმჩნეველად წარმოდგა ბუნების მბრძანებლად და მას მოეჩვენა, რომ ზოლოდ თამარის ნება-სურვილის წყალობით აღიმართა სიმინდის ეს ღეროები და აიქოჩრა ჩაის ეს მშვენიერი ბუჩქები.

აქ ის უბრძანებდა ბუნებას! ყველაფერი, რაც კი ირგვლივ ჰყვაოდა, მისი მშობლიური სტიქია იყო. რა შესანიშნავად იყო შერწყმული სითამამე, თავმდაბლობა, სასადავე და გაბედულება! რა ძლიერი შინაგანი ცეცხლი ანთია მის ნათელ, გულღია გამოხედვაში!

ყველაფერი ეს, რაც სტეფანეს ცნობიერებაში ასახებოდა, სინამდვილეს არ ეწინააღმდეგებოდა. თამარი ჭეშმარიტად კოლექტივის სული და გული იყო. მან შეძლო ადამიანთა გულში შთაენერგა ის ძალა, რომელსაც შეუძლია გონიერულად მოიპოვოს ბუნებისაგან ყველა მისი სიმდიდრე და დოვლათი.

...სტეფანემ სახლისაკენ გასწია, თამარი კი პუნქტში წავიდა. აქ ფაბრიკაში გასაგზავნ ჩაის ფოთოლს ეზიდებოდნენ. დაახუსტა მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა. ციფრები სანუგეშო არ იყო...

• • •

სტეფანე საწოლ ოთახში შევიდა. გულში რაღაცამ გაჰკრა: ზოიას სახე ბალიშში ჩაერგო და ტიროდა. სტეფანე საწოლზე ჩამოჯდა.

— რა მოგვიდა, ზოიჩკა?

ქალმა არ იცოდა რა ეპასუხნა. გამხელა უმძიმდა და უფრო მეტად ატირდა. სიმწრისგან ხმა ვერ ამოეღო. სტეფანეს თვალებში შეხედა, შიგ იმდენი სიყვარული და ყურადღება ამოიკითხა, რომ გულზე მოეშვა. თვალცრემლიანმა ჩუმად უთხრა:

— თამარი შრომობს... იგი ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს... მე კი არაფრის მაქნისი არა ვარ.

— ზოიჩკა, გენაცვალე, რამდენჯერ გთხოვდი გესწავლა.

— ჰო, სწორედ „მთხოვდი“! შენ უნდა გადაჭრით მოგეთხოვა ეს, ხომ ხედავდი, რომ მე ნებისყოფა არ მყოფნიდა!

— მართალი ხარ, ზოიჩკა, მართალი!

— აი, ბავშვებიც არა გვყავს...

— მაგრამ შენ ხომ თვითონ არ გინდოდა.

—შენ მამაკაცი ხარ, შენ უნდა მოგეთხოვა!

ზოიას სიტყვები სტეფანესთვის უჩვეულო იყო და, მიუხედავად საყვედურისა, სასიამოვნო. რაღაც ახალმა, მისთვის უცნობმა გრძნობამ გაღვიძა ქალში.

ზოიას სტეფანეს მუხლებზე დაედო თავი და ჩაფიქრებული თვალებით შესცქეროდა. ისინი დიდხანს იყვნენ იმ მდგომარეობაში, როცა გრძნობ, რომ ადამიანთა შორის უხილავი ძაფები იბმება. უეცრად ზოიამ იკითხა:

— სტიოპა, რისთვის სჭირდებათ მფრინავებს, ტანკისტებს და მეზღვაურებს იცოდნენ როგორ მოჰყავს თამარს ჩაის მაღალი მოსავალი? რათ სჭირდებათ, ნეტავ, ჩაი?

— საქმე მარტო ჩაი როდია, ჩემო კარგო, საქმე ძვირფასი ადამიანური თვისებებია — შეუპოვრობა, მამაცობა, შრომის სიყვარული, მისწრაფება რაც შეიძლება მეტი გააკეთო სამშობლოს სასარგებლოდ. ყოველივე ეს ერთნაირად მნიშვნელოვანია მუშისთვის, მეცნიერისა და ჯარისკაცისთვისაც. თვითეულ ადამიანს აქვს მისწრაფება ცხოვრებაში საპატიო ადგილი დაიკავოს. შესანიშნავად თქვა ამაზე მაქსიმ გორკიმ: სიყვარული ადამიანისადმი იბადება მისი შემოქმედებითი ენერგიის წინაშე გაკვირვების გრძნობიდანო.

— გაიმეორე... გაიმეორე... როგორ თქვა გორკიმ?

სტეფანემ გაიმეორა დიდი მწერლის ბრძნული სიტყვები.

...ზოიას აზრსა და გრძნობაში გარდატეხა ხდებოდა. რატომ სწორედ აქ, სოფელში დაუფიქრდა ზოია თავის ცხოვრებას? ნუთუ მოსკოვში მას ცოტა შეხვედრია ისეთი დამიანები, რომლებსაც გატაცებით უყვარდათ თავიანთი შრომა? რასაკვირველია, შეხვედრია. სინდისის ქეჯნაც განუცდია. მაგრამ ყველაფერი ეს მალე ქრებოდა. მას ბევრი რამ აწუხებდა. ჩემთვის თეატრი და მუსიკა ყველაფერიაო,—ამბობდა ზოია და ხელოვნების ოსტატთა წინაშე თაყვანისცემით გატაცებულს საკუთარი ნიჭის განვითარებისათვის არ სცალოდა. ზოია არ გრძნობდა შრომითა და საქმიანობით გამოწვეულ სიტკბოებას. კეთილი განზრახვები კეთილ განზრახვებად რჩებოდა და არასოდეს არ ქცეულა მიათვის გარკვეულ დასახულ მიზნად.

იგი თავისი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. მას ანებივრებდნენ. ეს კი თავბრუს ახვევდა ზოიას და იგი ვერ ათანხმებდა ბუნებისაგან მოცემულ ნიჭს სუსტ ნებისყოფასთან, რომელიც ბავშვობიდანვე კიდევ უფრო უსუსტებდა მეტისმეტად მოსიყვარულე და ყურადღებიანი დედა.

სტუდენტობისას ზოია ცოლად გაჰყვა ინჟინერს, რომელსაც თავის ქარხანაშიც და მეგობრებს შორისაც უკვე პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ზოიას მეაჩნდა, რომ ბედნიერებისა მწვერვალს მიაღწია. ზოგიერთნი ცდილობდნენ ეს მისი რწმენა ერთგვარად დაერღვიათ, მაგრამ ამას არაფითარი ზემოქმედება არ მოუხდენია მასზე. მან სტეფანეს ფრთებქვეშ შეაფარა თავი და თანდათან აიღო ხელი ინსტიტუტში მეცადინეობაზე.

• • •

თამარი სახლში გვიან დაბრუნდა დაქანცული. აივანზე მას ზოია დახვდა და შესძახა:

— თქვენ მთელი დღე მუშაობდით? ასეთი პაპანაქებაში! ალბათ ორმოცდაათი გრადუსი მაინც იქნებოდა. პირდაპირ რაღაც საშინელებაა!

— ზოიჩკა, გენაცვალე, ასეა საჭირო, დღეს ყველა მუშაობდა.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა! თქვენ დეპეშა მოგივიდათ. ზოიამ თამარს სკამი მიაწოდა, თვითონ კი დეპეშის მოსატანად წავიდა.

— ხვალ თბილისიდან ჩემი და და დისწული ჩამოდიან. — თქვა გახარებულმა თამარმა, როცა დეპეშა წაიკითხა.

აივანზე ბონდო და სტეფანე გამოვიდნენ. თამარმა მათაც შეატყობინა სასიამოვნო ამბავი. სტეფანემ ბონდოს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ბონდომ ხელი გაიქნია და არ დაეთანხმა თავისი მეგობრის წინადადებას. მაშინ სტეფანემ მიმართა თამარს:

— თამარ ანდრეევნა! ხვალ ჩამოდიან თქვენი და და დისწული. მე სიამოვნებით წავალ მათ დასახვედრად, ხოლო შემდეგ, თუ საწყენად არ დაგრჩებათ, ჩვენ გადავალთ სასტუმროში.

თამარს სახე შეეცვალა.

— როგორ გეკადრებათ! ამა ეგ როგორ შეიძლება! ძალიან გვაწყენინებთ! ვერსადაც ვერ გაგიშვებთ! — აღელდა იგი.

— დაგნებდით, ვდუმვარ! — ღიმილით მიუგო სტეფანემ და ხელები მაღლა ასწია.

თამარი სასტუმრო ოთახში შევიდა და სინათლე აანთო. მაგიდაზე ეწყო ალბომები, ჟურნალები. თამარმა გადაფურცლა ისინი. გაიღიმა.

— რა კარგი ხართ, — უთხრა თამარმა და ზოიას მოეხვია.

თამარი შევიდა თავის სადად მოწყობილ ოთახში. ოთახში იყო რკინის საწოლი, რომელიც ჯერ კიდევ ჰიმენის მშობლებს ეკუთვნოდა, ზეწარგადაფარებული თხელი ლეიბი, ზემოდან კი ბაიკის საბანი. სამუშაო მაგიდაზე — ტელეფონი, საანგარიშო, გაზეთები, საქმიანი ჩანაწერები. არაფერი ზედმეტი! თამარმა სახეზე დასარბილებელი კრემი წაისვა, დაღლილი ფეხები თბილ წყალში ჩაჰყო, შემდეგ მაგიდის უჯრიდან წიგნი ამოიღო, ლოგინზე წამოწვა და კითხვა დაიწყო.

...რევმატულმა ტკივილმა ფეხებში უმატა. თამარმა წიგნი გადაღო და ფეხების ზელვა დაიწყო. ტკივილი მატულობდა, ფეხები თითქოს გაუხევდაო.

ბონდომ ჩუმი გმნვა გაიგონა. თავი ფანჯარაში გაჰყო და მაშინვე მიხვდა, რომ ის ქვემოდან, დედის ოთახიდან ამოდიოდა. სწრაფად ჩაირბინა კიბე და დედის ოთახის კარი შეაღო. თამარი შეკრთა.

— რა მოგვიდა, დედა?

თვალცრემლიანმა თამარმა გაიღიმა და უპასუხა:

— არაფერია, შვილო! რაღაც სამწუხარო ამბავი გამახსენდა...

მას არ უნდოდა გაემხილა, რომ ის ყურს არ უგდებდა შვილის რჩევას და არ ასრულებდა მის დაფინებულ თხოვნას — ემკურნალა.

ბოლოს დაღლილობამ სძლია და ბონდოს წასვლის შემდეგ მალე ჩაეძინა.

სიზმარშიც ვერ დამშვიდდა. შფოთავდა... შორეული ქუხილი მოესმა, მოეჩვენა, რომ იელვა კიდეც. თავი ასწია, ფანჯარაში გაიხედა: წყნარი, ვარსკვლავიანი ღამე იყო. შეხუთული ჰაერი... სასტიკად სტკიოდა ფეხები, ეს მუდამ წვიმის წინ ემართებოდა, მაგრამ ცა მოწმენდილია, ხოლო ჰორიზონტზე ღრუბლის მცირედი ქულაც კი არა ჩანს. თამარს კვლავ ჩაეძინა. სიზმარში ნაზი, ალერსიანი სუნთქვა იგრძნო, ვიღაც სასიხარულო, სასიამოვნო სიტყვებს ეჩურჩულებოდა.

ფანჯარაში შემოჭრილმა გრილმა ნიავმა და ფოთლების ხმაურმა გამოაღვიძა. გამოუთქვამლმა სიხარულმა ალავსო მისი გული. მან გარკვევით გაიგონა წვიმის წვეთების ხმაური. თამარი ეზოში გავიდა და წვიმას ხელები, სახე შეუშვირა. ცივი წვეთები სახეზე, მკერდზე, შიშველ მკლავებზე ეცემოდა. ქუხილის დ